დანართი №1

შპს ევროპის უნივერსიტეტში არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის საფასური და დაფინანსებით სარგებლობის პირობები

1. 2025 - 2026 სასწავლო წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ევროპის უნივერსიტეტის არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პირველ პრიორიტეტად არჩევის შემთხვევაში, აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა პირველი სემესტრის სწავლის საფასური ექვემდებარება უნივერსიტეტის მიერ სრულად დაფინანსებას.

2. ყოველი მომდევნო სასწავლო სემესტრის დაფინანსების საკითხი განისაზღვრება წინა სემესტრის აკადემიური შედეგების შესაბამისად. დაფინანსებით სარგებლობისათვის დადგენილია შემდეგი პირობა: GPA არანაკლებ 85 ქულა (3.4).

3. ამ დანართის მე-2 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, სტუდენტი ავტომატურად კარგავს მომდევნო სემესტრებში სწავლის საფასურის დაფინანსებით სარგებლობის უფლებას. დაფინანსების დაკარგვის შემდეგ, სტუდენტი დაფინანსებით სარგებლობის უფლებით ვერ ისარგებლებს სამომავლოდ აკადემიური შედეგების გაუმჯობესების მიუხედავად.

4. არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე პირველ პრიორიტეტად ჩარიცხულ სტუდენტს თუ შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი ის კარგავს დაფინანსებით სარგებლობის უფლებას.

5. დაფინანსების დაკარგვის შემთხვევაში, სტუდენტი ვალდებულია გადაიხადოს არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის საფასური, სასწავლო წლის განმავლობაში 5 000 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით.